

## თავი 33 პირიქით

შენობიდან გამოსულმა ჯონათანმა კინალამ ფეხი დააბიჯა მაისისს, რომელიც მას ელოდებოდა და დანახვისთანავე ფეხებთან მკედარი ვირთხა დაუდო. ჯონათანმა ამაზრზენ ვირთხას შეხედა და წამოიძახა:

– ჰო, წარმომიდგენია საიდანაც მოათრიე, მაისის. გმადლობთ, მაგრამ არ მინდა.

ყვითელმა კატამ მოგლეჯილი ყური მოიფხანა. მას სულაც არ აღარდებდა რომ ჯონათანს ეს გემრიელი ვირთხა არ მოეწონა.

ჯონათანმა ბაზრის კუთხეში წითელ კაბაში გამოკვართული, უხვმაკიაუიანი ქალი შენიშნა, რომელიც ყველა გამვლელ მამაკაცს უდიმოდა და საუბარში გამოწვევას ცდილობდა. ვერ იტყოდით რომ იგი მოწყალეებს ითხოვდა. არა, – ფიქრობდა ჯონათანი, ალბათ რაღაცის გაყიდვას ცდილობს. წარუმატებლობის შემდეგ ქალი იმედგაცრუებული ჩანდა, თუმცა მყის ახალი კლიენტის ძებნას იწყებდა. ჯონათანს დააინტერესა, მიიჩნევდა თუ არა ღორდი პონცი ამ ქალბატონსაც საზოგადოებრივ ღირებულებად. მოგვიანებით მან კიდევ ერთ ქალბატონს ჰკიდა თვალი, რომელსაც „საბრძოლო მაკიაჟი“ უფარავდა სახეს, მოკლე, ბრჭყვიალა ქვედაბოლოდან კი შავი აჟურული წინდები უჩანდა. როდესაც ქალმა მოურიდებლად გაუსწორა თვალი, ჯონათანს იგი არცთუ მეგობრულად განწყობილი ეჩვენა. და მაინც, მან პორტის შესახებ შეკითხვა გადაწყვიტა, მაგრამ, სანამ სიტყვას იტყოდა, კუთხიდან პოლიციის ფურგონი შემოსრალდა და ბორბლების წრიპინით ქალებს შორის დაამუხრუჭა.

მანქანიდან შავებში ჩაცმული პოლიციელები გადმოენთნენ, მკივან და გაძალიანებულ ქალებს ხელი ჩაავლეს და ფურგონში ჩატენეს. ერთ-ერთმა კანონდამცავმა კარი მიაჯახუნა და მანქანაც უკვალოდ გაქრა. ოფიცერი, რომელიც ქუჩაში დარჩა, ჯიბიდან ამოცურებულ შავ წიგნაკში შენიშვნების წერას შეუდგა.

ჯონათანს საოცრად მოუნდა, ამდენივე პოლიციელი იმ ადგილას აღმოჩენილიყო, სადაც მას ქურდავდნენ.

– მაპატიეთ, სერ, მინდა, დაყაჩაღების შესახებ გამცნოთ.

– ეს საკითხი ჩემს განყოფილებას არ ეხება, – თქვა პოლიციელმა წიგნაკიდან თვალის მოუცილებლად.

– რომელ განყოფილებას მიეკუთვნებით, – იკითხა დაბნეულმა ჯონათანმა.

– ამორალობას, – ჩაიბუტბუტა ოფიცერმა.

– რა ბრძანეთ?!

– ამორალურ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებას, მეგობარო. ჩვენ ამორალური საქციელი გვეხება.

– დარწმუნებული ვარ, რომ დაყაჩაღება, რომლის შესახებაც მე ვსაუბრობ, ფრიად ამორალური საქციელი გახლდათ.

უპასუხოდ დარჩენილ ჯონათანს საუბრის განახლებამ ისევ თავად მოუწია.

– რატომ დააპატიმრეს ის ქალბატონები?

– ნუთუ მათი ტანისამოსით ვერ მიხვდით? – როგორც იქნა, პოლიციელმა თვალი მოსწვევითა ჩანაწერებს და გაოცებით შეხედა ჯონათანს, – ეს ქალბატონები ნაღდი ფულის სანაცვლოდ სექსუალურ მომსახურებაში არიან ბრალდებულნი. ამ მომსახურებისთვის ბარტერი რომ მოეთხოვათ, სხვა საქმე იქნებოდა.

– ბარტერი? რას გულისხმობთ? – იკითხა ჯონათანმა, რომელსაც იმ ქალების ბედი ისე აღელვებდა, საკუთარი პრობლემები სრულებით გადაავიწყდა.

– მე ვგულისხმობ, რომ... – თითოეული სიტყვის ხაზგასმით თქვა პოლიციელმა, – ამ ქალებს თავიანთი პარტნიორები ვახშმის, სასმელის, ცეკვაზე ან თეატრში დაპატიჟების შემდეგ რომ გაერთოთ და ამისთვის ფული არ გამოერთმიათ, მათთვისვე იქნებოდა უკეთესი, რადგან ზემოხსენებული საქმიანობა სრულიად კანონიერად მიიჩნევა.

- ანუ, სექსუალური აქტისთვის ფულის გადახდა არ შეიძლება? - საბოლოოდ დაიბნა ჯონათანი.
- რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არსებობს. ასე, მაგალითად, ფულის გადახდა მაშინ არის დასაშვები, თუ ამ საქმიანობას ფირზე ჩაიწერენ და ქალაქში ყველა ადამიანს აჩვენებენ. მაშინ ეს საზოგადოებრივი საქმიანობაა და არა პირადული, ამიტომ კანონის ფარგლებს არ სცილდება. დაპატიმრების ნაცვლად, შოუს მონაწილენი ცნობილი ადამიანები გახდებოდნენ და კონტრაქტებიდან გვარიან შემოსავალსაც მიიღებდნენ.
- ესე იგი, ამორალურ საქციელად მიიჩნევა სექსუალური აქტისთვის ფულის იმ შემთხვევაში აღება, თუ საქმე პირად ცხოვრებას ეხება?
- პირად ცხოვრებაშიც არსებობს გამონაკლისები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ქალი იმაზე უკეთ არის ჩაცმული ვიდრე ის მაწანწალები, - ზიზღით თქვა პოლიციელმა, - ხანმოკლე შეთანხმებები, რომლებიც ურთიერთობას ერთი საათით ან ერთი ღამით ითვალისწინებს, უკანონოა. მაგრამ თუ წყვილი მთელი ცხოვრება აპირებს ერთად ყოფნას, ამისთვის ფულის გამოყენება შესაძლებელია. ხშირად მშობლები ვინმესთან მსგავსი კონტრაქტების გაფორმებისკენ შვილებსაც უბიძგებენ. არისტოკრატის წარმომადგენლებში ასეთი საქციელი არაერთხელ დაფიქსირებულა, რაც სოციალური სტატუსის გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების საუკეთესო გარანტია.
- პოლიციელმა საუბარი დაასრულა და ჩანთას წაატანა ხელი, საიდანაც ჯოხზე დამაგრებული ქვა და რამდენიმე ლურსმანი ამოაცურა.
- დამეხმარეთ, გეთაყვა.
- დიახ, რა თქმა უნდა, - მიუგო ჯონათანმა, თან საზოგადოებრივი მორალის შესახებ იმწუთას გაგონილი ინფორმაციის გაანალიზებას ცდილობდა.
- ოფიცერი შებრუნდა და მაღაზიისკენ აიღო გეზი. გზად ტროტუართან დაქუჩებული რამდენიმე ფიცარი წამოკრიფა და ჯონათანს გასძახა.
- ფიცრის მეორე ბოლოს მოჰკიდე ხელი. ამ მაღაზიის ფანჯრებისა და კარის აფიცრას ვაპირებ.
- რატომ?
- მაღაზია დაკეტილია, - ჩაიბურღუნა პოლიციელმა, რადგან პირში გაჩრილი ლურსმნები ნორმალურად ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდა, - მისი მფლობელი უმსგავსო სურათების გაყიდვაშია ბრალდებული. ჰოდა, ციხეში ჩააყუდეს.
- როგორი სურათებია „უმსგავსო“? - ბავშვური მიამიტობით იკითხა ჯონათანმა.
- ფოტოები, რომლებზეც ამაზრზენი და ბინძური საქმიანობაა ასახული.
- და ამ „ბინძურ“ საქმიანობას მაღაზიის მფლობელი ეწეოდა?
- არა, იგი ამ ფოტოებს მხოლოდ ავრცელებდა.
- ჯონათანი გაგონილმა უფრო ღრმად დააფიქრა. პოლიციელმა კი კარზე ფიცრის ზედა ნაწილის მიჭედება დაამთავრა.
- ანუ, უმსგავსო ფოტოების გაყიდვა ადამიანს ამ საქმიანობის შემსრულებლად აქცევს?
- ჯონათანის შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ახლა პოლიციელს მოუწია დაფიქრებამ.
- გარკვეულწილად ასეა. ადამიანები, რომლებიც ასეთ სურათებს ჰყიდიან, უმსგავსო საქმიანობის პროპაგანდაში არიან დამნაშავენი. მოგეხსენებათ, მყიდველები ადვილად ექცევიან სხვათა გავლენის ქვეშ.
- ჯონათანმა შუბლზე გადაისვა ხელი.
- გავიგე. როგორც ჩანს, ამ შენობაში რომელიმე გაზეთის წარმომადგენლობა იყო. თქვენ ალბათ ის კორესპონდენტები დააკავეთ, რომლებიც საომარი ოპერაციებისა და მკვლელობების ფოტოებს იღებდნენ. ნუთუ თქვენი გაზეთები ომის ან მკვლელობის პროპაგანდაში არიან დამნაშავენი, როდესაც მკვლელების ან მოკლული ადამიანების ფოტოებს იღებენ?

– არა, არა... ოხ, ღმერთმა დასწყევლოს ეს ქვა! – შეჰყვირა ოფიცერმა, მტკივანი თითი ჰაერში გააქნია და გინების კორიანტელი დააყენა – მიზნისთვის აეცილებინა და ჩაქუჩი თითში ჩაერთყა.

პოლიციელმა კვლავ ინსტრუმენტებს სტაცა ხელი და მუშაობა განაგრძო.

– უმსგავსობა უკანონო სექსუალური აქტია. არანორმალურ სექსუალურ აქტს მხოლოდ გარყვნილი ადამიანები მიმართავენ, რასაც ღირსეული მოქალაქეები ზიზღით უყურებენ. მეორე მხრივ, საომარი ოპერაციები და მკვლელობა ისეთ საქმიანობად მიიჩნევა, რომლის შესახებ კითხვაც, გარკვეული მეთვალყურეობის ქვეშ, ღირსეულ მოქალაქეებსაც შეუძლიათ და გარყვნილებსაც, მეტიც, მისი განხორციელების ნებაც აქვთ. სიმართლე გითხრათ, საომარი ოპერაციებისა და მკვლელობების გრაფიკულმა გამოსახულებამ შესაძლოა ჟურნალისტს ჯილდოებიც შესძინოს.

როდესაც პოლიციელმა ბოლო ლურსმანი დააჭედა, ჯონათანმა გზა განაგრძო. იგი მიხვდა, რომ ეს ადამიანი იმდენად იყო ამორალური საქმეებით დაკავებული, რიგითი ძარცვის განსახილველად ნამდვილად ვერ მოიცვლიდა.